

“დამტკიცებულია”

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის
კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის
2019 წლის „1“ აგვისტოს №MOD 3 19 00000243 ბრძანებით

ხელშეკრულება

კადეტის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან/ №

ქ. ქუთაისი

„-----“-----20 წ.

1. ხელშეკრულების საგანი

„სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სწავლება“ ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (შემდგომში - ლიცეუმი) მდებარე ქ. ქუთაისის ავტომშენებლის №51 მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ, კადეტის მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი/----- მცხოვრები ----- პირადობის მოწმობის № ----- პირადი № ----- ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

2. კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მოვალეობანი:

ლიცეუმი ვალდებულია:

2.1. მუშაობა წარმართოს ლიცეუმის წესდების, ლიცეუმის შინაგანაწესისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

2.2. სემესტრში ერთხელ ჯგუფის სასწავლო კურსის უფროსმა ან დამრიგებელმა კადეტის მშობელს გააცნოს ინფორმაცია შვილის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ.

3. კადეტის მშობელთა /კანონიერ წარმომადგენელთა/ და კადეტთა უფლება-მოვალეობანი:

კადეტის მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი/ და კადეტი ვალდებულია:

3.1. დაიცვას ლიცეუმის შინაგანაწესი;

3.2. გაუფრთხილდეს ლიცეუმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ინვენტარს, ნაგებობებს და დაზიანების შემთხვევაში ანაზღაუროს ან აღადგინოს მიყენებული ზარალი. ყოველგვარი გაუგებრობა კადეტებსა და ლიცეუმის თანამშრომლებს შორის გადაწყვიტოს ცივილიზებული ფორმით;

3.3. კადეტის მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი/ ვალდებულია დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს ლიცეუმის დირექციას მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ მდგომარეობაზე;

3.4. კადეტის მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი/ ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში გამოცხადდეს ლიცეუმის მიერ გამართულ მშობელთა კრებაზე და გაერკვეს კადეტის საერთო მდგომარეობასა და მის აკადემიურ მოსწრებაში;

3.5. კადეტის მშობელს /კანონიერ წარმომადგენელს/ სასწავლო წლის განმავლობაში ობიექტური მიზეზით შეუძლია კადეტის ლიცეუმიდან განთავისუფლება, რის გამოც მან უნდა წარმოადგინოს განცხადება შესაბამისი მიზეზის მითითებით;

3.6. არდადეგებისა და დასვენების დღეებში მშობელი საკუთარ თავზე იღებს კადეტის გადაადგილებას, უსაფრთხოებასა და ხარჯებს.

4. განსაკუთრებული პირობები:

4.1. სასწავლო ჯგუფში რაოდენობა განისაზღვრება 25-ი კადეტით. დასაშვებია გამონაკლისი;

4.2. სწავლების პერიოდად ითვლება მთელი სასწავლო წელი, ზაფხულის არდადეგების გარდა. კადეტთა მიერ გაკვეთილის გაცდენა საპატიოდ ჩაითვლება:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (სათანადო ცნობის წარმოდგენის შემდეგ);

ბ) ოჯახური პირობების გამო, კურსის უფროსის მიერ ადგილზე შემოწმებისა და ლიცეუმის დირექტორის სახელზე მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემთხვევაში;

გ) არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო კადეტი და მშობელი გამოცხადდებიან ლიცეუმის დირექციაში.

4.3. კადეტები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, საცხოვრებელი ადგილით, სამედიცინო მომსახურებით, სანივთე ქონებით, სამხედრო ფორმითა და აღჭურვილობით;

4.4. სასწავლო წლის ხანგრძლივობა და სასწავლო რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ლიცეუმის სასწავლო გეგმის მიერ რეკომენდირებული გრაფიკით;

4.5. სასწავლო და შემეცნებითი მიზნებიდან გამომდინარე, ლიცეუმის დირექციის გადაწყვეტილებით, რომელიმე შაბათ-კვირას ლიცეუმში შესაძლებელია ჩატარდეს მიზანმიმართული სწავლებები, ან ექსკურსიები;

4.6. კადეტის დაბალი აკადემიური მოსწრების, დაბალი ფიზიკური მომზადების დონის ან უდისციპლინობის გამო, დირექციის გადაწყვეტილებით, შესაძლოა კადეტი ლიცეუმში დატოვებული იქნას შაბათ-კვირას აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით;

4.7. სასწავლო პროცესის განმავლობაში სასწავლებელში სადღეღამისო დარჩენა სავალდებულოა ყველა კადეტისათვის, გარდა დასვენების დღეებისა;

4.8. მნახველთათვის კადეტების ნახვის დღეებსა და საათებს ადგენს ლიცეუმის დირექცია;

4.9. კადეტების დათხოვნა განხორციელდება პარასკევს სასწავლო პროცესის დასასრულს კვირა დღის გასაყრისამდე და სხვა დასვენებისა და უქმ დღეებში; შაბათ-კვირისა და სხვა გამოსასვლელი დღეების დროს კადეტის მგზავრობის ხარჯებსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი/;

4.10. ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კადეტებისათვის ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად ჩატარდება პრაქტიკული და საველე მეცადინეობები;

4.11. ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე კადეტები ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად გაივლიან საადაპტაციო პერიოდს:

- I სასწავლო კურსის კადეტები (ახლად ჩარიცხულები) ორი კვირის ვადით;

- მე-II და III სასწავლო კურსის კადეტები ერთი კვირის ვადით;

4.12. სასწავლო წლის დასრულებისას 4 ან 4-ზე მეტი საგნის არაადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში კადეტს უჩერდება „კადეტის“ სტატუსი და მშობელმა /კანონიერმა წარმომადგენელმა/ უნდა უზრუნველყოს მისი სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა, ხოლო ერთ, ორ, ან სამ საგანში არაადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში კადეტს დაენიშნება საშემოდგომო გამოცდა;

4.13. საშემოდგომო გამოცდაზე სამ საგანში არაადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში კადეტს შეუჩერდება კადეტის სტატუსი, ხოლო ორ ან ერთ საგანში

არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში კადეტს მიეცემა განმეორებით გადაბარების უფლება (საშემოდგომო) აღნიშნულის ვერ ჩაბარების შემთხვევაში კი კადეტს უჩერდება „კადეტის“ სტატუსი და მშობელმა /კანონიერმა წარმომადგენელმა/ უნდა უზრუნველყოს მისი სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა;

4.14. კადეტის მიერ შინაგანაწესისა და კადეტთა ქცევის კოდექსის ფარგლებში დისციპლინის ხშირი, ან უხეში დარღვევის შემთხვევაში, რაც აისახება მასზე მინიჭებული 100 ქულიანი საკრედიტო ქულების შემცირებაში, მას შეუჩერდება კადეტის სტატუსი და მშობელმა /კანონიერმა წარმომადგენელმა/ უნდა უზრუნველყოს მისი სხვა სასწავლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა;

4.15. კადეტის ჯანმრთელობის დამძიმების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს მას სწავლაში ხანგრძლივი დროით, ექიმისა და დირექციის გადაწყვეტილებით კადეტს შეუჩერდება კადეტის სტატუსი და მშობელმა /კანონიერმა წარმომადგენელმა/ უნდა უზრუნველყოს მისი სხვა სასწავლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა;

4.15^ა. კადეტის მიერ ფიზიკური ტესტირების ვერ ჩაბარების შემთხვევაში კადეტს შეუჩერდება კადეტის სტატუსი და მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს მისი სხვა სასწავლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა;

4.16. კადეტის მიერ დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსისა და ფიზიკური მომზადების ტესტირების დაუძლეველობის შემთხვევაში, კადეტს შეუჩერდება კადეტის სტატუსი და მშობელმა /კანონიერმა წარმომადგენელმა/ უნდა უზრუნველყოს მისი სხვა სასწავლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა;

4.17. კადეტის მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის/ ოფიციალური მომართვის შემთხვევაში, თუ მას აღარ აქვს სურვილი ლიცეუმში სწავლის გაგრძელებისა, კადეტის მშობელს /კანონიერ წარმომადგენელს/ კანონით განსაზღვრულ ვადებში შეუძლია საბუთების გატანა ლიცეუმიდან, რის საფუძველზეც კადეტს შეუჩერდება კადეტის სტატუსი;

4.18. კადეტის მშობლები და კადეტები ეცნობიან ხელშეკრულებას, ლიცეუმის წესდებასა და შინაგანაწესს, (WWW.MOD.GOV.GE WWW.CADET.MOD.GOV.GE) რასაც ადასტურებენ ხელისმოწერით. შინაგანაწესში შესული ცვლილებების გაცნობის ვალდებულება კადეტის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან/ ეკისრება ლიცეუმში მოქმედ სამეურვეო საბჭოს .

კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი / /

კადეტის მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის / ხელისმოწერა

გავეცანი ხელშეკრულებას და ლიცეუმის „შინაგანაწესს“ და ვეთანხმები / /

კადეტის სახელი და გვარი -----

5. მხარეთა რეკვიზიტები ფაქტობრივი მის: -----

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი ტელ: -----

ტელ: 0431 29 61 15 სარეგისტრაციო მის:-----

საიდენტიფიკაციო კოდი №212 922 612 პირადი № -----

მის: ქუთაისი ავტომშენებლის №51 მოქალაქის პირადობის №-----